დანართი №2

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიში „კბილის სატექნიკო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირმა მეგრელიძე

წევრები:

ნინო ჩომახაშვილი

(ბათუმი, 2023 წელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შპს**

საიდენტიფიკაციო კოდი: **245419355**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის (შემდგომში აკადემია ან დაწესებულება) მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2023 წლის 18 მაისს ქალაქ ბათუმში „კბილის სატექნიკო საქმე“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ წარმოდგენილია საავტორიზაციო განაცხადი. განაცხადის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით 2023 წლის 23 მაისის MES 1 23 0000584536 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით - ირმა მეგრელიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე), ნინო ჩომახაშვილი - (წევრი). ექსპერტთა ჯგუფს დაევალა განახორციელოს ვიზიტი **2023 წლის 1 ივნისს,** დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი ბათუმში, შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში 2023 წლის 1 ივნისს (ბათუმი, ტბეთის ქ. N4ა). აკადემიაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კოლეჯის ვებგვერდსა და მასზე გათავსებულ ინფორმაციას.

2023 წლის 29 მაისს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი, ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მოთხოვნებთან დაწესებულების პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის კოლეჯის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიურების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და გადანაწილდა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი N1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2023 წლის 1 ივნისს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი აკადემიაში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელს (სულ 5 პირი), პროგრამების განხორციელებაში ჩართული ყველა პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებს (2 პირი), დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა, კოლეჯის ტერიტორიაზე არსებული ლაბორატორიები, პარტნიორი ორგანიზაცია, რის შედეგადაც სრულად შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშრებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებაში განხორციელდა მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების ავტორიზაციის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დაწესებულების მიმართ წარმოების შეწყვეტის შესახებ. (№228462; 2022 წლის 07 მარტი). ექსპერტთა ჯგუფის მიერ განმავითარებელი რეკომენდაციები კი გაცემული არ იყო.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

VII. რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.1.1.

აკადემიამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებისას შეისწავლოს ისეთი ასპექტები, როგორიცაა პროგრამის გახორციელების მიზანშეწონილობა დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის რესურსული, ეკონომიკური, სამართლებრივი და ოპერაციული მიზანშეწონილობა.

ინდიკატორი 2.1.8.

რადგან პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული სწავლებით, აღნიშნული ჩანაწერი უნდა გვხვდებოდეს პროგრამაში, ასევე პროგრამას ჰქონდეს დანართი, სადაც ნაჩვენები იქნება გამიჯნული სწავლის შედეგები განხორციელების ადგილის მითითებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.3.1.1.

გადაიხედოს დაწესებულების „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რადგან რიგი საკითხები დუბლირებულია.

ინდიკატორი 2.4.1.4.

გადაიხედოს და ერთ დოკუმენტად შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია.

ინდიკატორი 2.4.1.1.

დაწესებულებამ უზრუნველყოს სასწავლო გეგმაში ტექნიკური უზუსტობების გასწორება, ასევე შუალედური შეფასების კვირის გამოყოფა.

ინდიკატორი 2.4.2.1.

„პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესში“ განისაზღვროს თუ რამდენჯერ აქვს სტუდენტს გადაბარების უფლება და შეფასების გაცნობიდან რამდენ ხანში შეუძლია სტუდენტს ისარგებლოს აპელაციის წესით. გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა ტერმინთა განმარტების შესახებ.

ინდიკატორი 2.4.2.2.

დაწესებულებამ შეფასების პროცესის ვერიფიკაციაში ჩართოს პროფესიული სტუდენტები;

ზოგადი რეკომენდაცია

- დაწესებულებამ გადახედოს არსებულ რეგულაციებს და გაასწოროს ტექნიკური ხარვეზები თანამდებობრივი პოზიციების დასახელებებთან დაკავშირებით.
- დაწესებამ შეიმუსაოს მარეგულირებელი დოკუმენტების კონსოლიდირებული ვარიანტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	კბილის სატექნიკო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია დენტალურ საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0911
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებული ბრძანებით № 6874 14/09/2022 წ. ცვლილება შესული ბრძანებით № 4789 15/05/2023 წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ბათუმი, ტბეთის ქ. N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	------
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	------
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	----
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგემვის და შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორის 2021 წლის 03 დეკემბრის № 7645 ბრძანებით (შეტანილი ცვლილებით 2022 წლის 03 თებერვლის №707 ბრძანებით). დოკუმენტი მოიცავს ისეთი შინაარსის პუნქტებს, როგორიცაა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ინიცირება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა; საგანმანათლებლო პროგრამისა დამტკიცების წესი; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამში ცვლილებების შეტანა და გაუქმება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის დადგენის პროცედურა.

დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის „კბილის სატექნიკო საქმე“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, სადაც აღნიშნულია, რომ აკადემის 1996-2018 წლებში ახორციელებდა კბილის სატექნიკო საქმის მიმართულების პროგრამას და ამ წლების შემდეგ აჭარა-გურიის რეგიონში აღნიშნული მიმართულების კადრების მომზადება არ ხორციელდება, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე. ვიზიტის დროს ექსპერტებმა გადახვხედეთ „შრომის ბაზრის კვლევის ანგარიშს“, სადაც ნათლადაა წარმოდგენილი გამოკითხული დაინტერესებულ პირთა და დამსაქმებელთა კვლევები. დაინტერესებული პირები - სკოლის მოსწავლე, მშობელი, აპლიკანტი და სხვა. დაწესებულებას გამოკითხული ჰყავს ბათუმის რამოდენიმე წამყვანი ლაბორატორიისა და პოლიკლინიკის მენეჯერები, რომლებიც ადასტურებენ აღნიშნული პროგრამის აქტუალობას რეგიონში, ბაზრის კვლევის დოკუმენტის საფუძველზე გაკეთებულია რეიტინგი, რის მიხედვითაც აჭარის რეგიონში გამოკითხულთა 42% ეტანხმება აღნიშნულ პროგრამის განხორციელების საჭიროებას. 2022 წლის 12 აპრილს აკადემიის მრჩეველთა საბჭოზე განხილული იყო ბაზრის კვლევის შედეგები. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება „კბილის სატექნიკო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ. *მიზანშეწონილობის დოკუმენტში სასურველია ასახულიყო ის ფაქტიც, რომ დაწესებულება აფართოებს პროგრამათა სპექტრს მისი ძირითადი პროფილური მიმართულების ფარგლებში; რომ პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარები იძლევა თვითდასაქმების საშუალებას.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასურველია ასევე გამოყენებული ყოფილიყო მეორადი კვლევების შედეგები (მაგ, ეკონომიკის სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები და ა.შ.)

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა დაწესებულების მისია, რომელიც გულისხმობს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად რეგიონში დანერგოს შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით ჯანდაცვის და სხვა პროფილის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორის 2022 წლის 4 აგვისტოს №5760 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა“(2019– 2026). მისიაში პირდაპიწ მითითებულია დაწესებულების პროფილი, რაც აღნიშნული პროგრამის შესაბამისია, ასევე სტრატეგიული მიზანი N1- „ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და მათი განხორციელების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება“ პირდაპირ გულისხმობს პროგრამის დამატების პროცესების უზრუნველყოფას.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ასევე აკადემიის დირექტორის 2022 წლის 28.11. №11454 ბრძანებით დამტკიცებული ბათუმის სამედიცინო აკადემის 2022-2023 ს/წ. სამოქმედო გეგმა-გრაფიკი. დაწესებულებას საგანმანთლებლო პროგრამების დამატების აქტივობა სამოქმედო გეგმაში დაგეგმილი ჰქონდა წინასწარ და ეს დასტურდება სამოქმედო გეგმის შესაბამისი აქტივოვბებით (1.2.2. აქტივობა).

ინდიკატორი 2.1.1. დაკმაყოფილებულია, რადგან პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, *თუმცა რეკომედებულია აკადემიამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებისას შეისწავლოს ისეთი ასპექტები, როგორიცაა პროგრამის გახორციელების მიზანშეწონილობა დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის რესურსული, ეკონომიკური, სამართლებრივი და ოპერაციული მიზანშეწონილობა.*

2.ბათუმში, ტბეთის ქ. N4-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება მოდულური მიდგომით, კერძოდ კოოპერაციული სწავლების ფორმით, რადგან კრედიტების 50%-ზე ნაკლებია გადანილი პარტნიორ ორგანიზაციაში.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კბილის სატექნიკო საქმე“ ბათუმის სამედიცინო აკადემიამ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის (პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის) “დენტალური საქმე” საფუძველზე შეიმუშავა. პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის ბრძანებით № 6874 14/09/2022 წ. (ცვლილება შესული ბრძანებით № 4789 15/05/2023 წ.) პროგრამაზე ჩარიცხვის პრობები შესაბამისობაშია აღნიშნულ საგანმანათლებლო სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N04-03 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესით'', რომელიც შემუშავებულია ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.1.2. დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 11 თებერვლის N 01-15 ბრძანებით (ცვლილება დირექტორის 2019 წლის 5 აპრილის N 01-40 ბრძანებით) დამტკიცებულია ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია'', რის მიხედვითაც პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება აფასებს შემდეგ ფაქტორებს: A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; B სასწავლო გარემოში (კომპიუტერულ კლასში) პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის ობიექტზე ყოფნის პერიოდი; პროფესიული პროგრამების პრაქტიკის ხანგრძლივობა; ორ ცვალში სწავლების შესაძლებლობა; სტუდენტთა ჯგუფების რაოდენობა (ერთი ან რამდენიმე პროგრამის ფარგლებში), რომელიც სარგებლობს აღნიშნული სასაწავლო გარემოთი; პროგრამის სასწავლო გეგმის თავისებურებანი;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვის ანალიზი და დასაბუთება, რის მიხედვითაც:

საგანმანათლებლო პროგრამის მოდულები განხორციელდება A/C , C და B სასწავლო გარემოში, ქ. ბათუმი, ბათუმის სამედიცინო აკადემია, ტბეთის 4 (603, 606, 602 აუდიტორიებში) და საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებს გარეთ პრაქტიკის ობიექტებზე ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე.

1. N 603 - A /C სასწავლო გარემო.
2. N 606 - C სასწავლო გარემო.
3. N 602 - B სასწავლო გარემო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გარემოს მოდელი AC გარემო -კბილის სატექნიკო საქმის კაბინეტი, აუდიტორია 603 - ფართი შეადგენს 52.116 კვ.მ -ს

A გარემო - განკუთვნილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის და განთავსებულია : 15 სამუშაო მაგიდა, 15 სკამი.

პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალება, დაფა , კომპიუტერი (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), სასწავლო პლაკატები, სიმულაციური ლაბორატორია, შესაბამისი აღჭურვილობით.

C გარემო - განკუთვნილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის და განთავსებულია: სამუშაო სატექნიკო მაგიდა/სკამი, ინდივიდუალური განათებით, კარადა ლაბორატორის ინვენტარისათვის, მიკროძრავები, , ფითხები, ელექტრო ფითხები, თავის ქალას ფანტომი, ყბების ფანტომები, სპირტქურები, გამოკრულია ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხოების წესები.

სასწავლო გარემოს მოდელი C გარემო - სათაბაშირე და საპოლიმერიზაციო გარემო-აუდიტორია 606 - ფართი შეადგენს 16 კვ.მ-ს განთავსებულია: სამუშაო მაგიდები, სკამები, სველი წერტილი, ტრიმერის აპარატი, ვიბრომაგიდა, საწნეხი, სანთლის სადნობი, ოკლუდატორები, რეზინის ჯამები თაბაშირის მოსაზელი შპადელებით, ბიგელი, დარიჯები, ელექტროქურა, ელექტრო ჩაიდანი, გამწოვი კარადა, ჩაქუჩი, სამსონის აპარატი. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხოების წესები.

სასწავლო გარემოს მოდელი B გარემო აუდიტორია 602 -ფართი-43,343 კვ.მ - რომელშიც განთავსებულია 22 პერსონალური კომპიუტერი განკუთვნილია პროფესიული სტუდენტებისათვის, ხოლო ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.(სულ 23 კომპიუტერი), მაგიდები და სკამები სტუდენტებისა და მასწავლებლითვის, დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფა და სხვა.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტებთან,კერძოდ:

1. შპს „ტექნიკალგრუპი“- (სტუდენტთა რაოდენობა 10);
2. შპს ,,ლაბორადენტი'' (სტუდენტთა რაოდენობა 10) ;
3. შპს ,, ევრო დენტი'' - (სტუდენტთა რაოდენობა 10) ;

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 30 სტუდენტზე. უნდა აღინიშნოს, რომ თითო მიღებაზე დაწესებულება იღებს 15 პროფესიულ სტუდენტს. შესაბამისად, სწავლების მეორე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წელს განხორციელდება 15 პროფესიული სტუდენტის მიღება და ამ შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა იქნება საერთო კვოტის - 30 პროფესიული სტუდენტის ფარგლებში. დაწესებულების მიერ კბილის სატექნიკო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის კონტიგენტი განისაზღვრა 30 პროფესიული სტუდენტით.

პროგრამის ფარგლებში, შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 85 პროფესიული განათლების მასწავლებელთან.

დასახელებული ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია 30 პროფესიული სტუდენტის მიღება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კბილის სატექნიკო საქმე". შესაბამისად, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად შესაძლებელია განისაზღვროს 30 სტუდენტი.

ინდიკატორი 2.1.3. დაკმაყოფილებულია, რადგან პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4. ექსპერტებმა ვიზიტის პერიოდში გადაამოწმეს პროგრამით გათვალისწინებული რესურსები. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები სრულად შესაბამისობაშია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს.

ინდიკატორი 2.1.4. დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კბილის სატექნიკო საქმე" შედგება:

ა) 5 ზოგადი სავალდებულო მოდულისაგან, ჯამში 15 კრედიტის მოცულობით,

ბ) 21 სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულისაგან, ჯამში 70 კრედიტის მოცულობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

ინდიკატორი 2.1.5. დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის ბრძანებით № 6874 14/09/2022 წ. (ცვლილება შესული ბრძანებით № 4789 15/05/2023 წ.).

„საგანმანათლებლო პროგრამების დაგემვის და შემუშავების მეთოდოლოგიის“, რომელიც დამტკიცებულია ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორის 2021 წლის 03 დეკემბრის № 7645 ბრძანებით (შეტანილი ცვლილებით 2022 წლის 03 თებერვლის №707 ბრძანებით), მიხედვით დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი არის დირექტორი.

აღნიშნული წესის შესაბამისად შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი, რომელიც დასკვნისათვის წარედგინება აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს. საგანმანათლებლო პროგრამის თანდართული სტრატეგიული განვითარების და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის დასკვნით, განსახილველად წარედგინება მრჩეველთა საბჭოს, მრჩეველთა საბჭო განიხილავს წარმოდგენილ პროექტს და საბოლოო ვარიანტს წარუდგენს დასამტკიცებლად აკადემიის დირექტორს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს აკადემიის დირექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ინდიკატორი 2.1.6. დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება „კბილის სატექნიკო საქმე“ თანხვედრაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია დენტალურ საქმეში / Secondary Vocational Qualification in Dental Studies, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი 2.1.7. დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის **„კბილის სატექნიკო საქმე“** ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება პროგრამის პროფესიული სტუდენტებისათვის, მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის.

პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული სწავლებით, რადგან რამოდენიმე მოდული გატანილია პარტნიორ კომპანიებში. ექსპერტებმა დათვალეს კრედიტების რაოდენობა, რომელიც გატანილია პარტნიორ ორგანიზაციაში იგი არ აღემატება 50-%-ს. თუმცა პროგრამაში არ გვხდება შესაბამისი ჩანაწერი. რაზეც დაწესებულებას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია. ასევე მოდულებში არის ჩანაწერები, თუ რომელი სწავლის შედეგია გატანილი პარტნიორ კომპანიაში და რომელი სწავლის შედეგი ხორციელდება აკადემიაში.

პროგრამას დანართების სახით ახლავს:

დანართი 1. - სასწავლო გეგმა.

დანართი 2. - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი.

დანართი 3. - განმახორციელებელი პერსონალი (პროფესიული განათლების მასწავლებლები).

დანართი 4. - პროგრამის შემადგენელი მოდულებიხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში.

სასწავლო გეგმას და მოდულებში დაცულია დაშვების წინაპირობები, პროფესიული სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.8. დაკმაყოფილებულია, რადგან პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, *თუმცა რეკომენდებულია რადგან პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული სწავლებით, აღნიშნული ჩანაწერი გვხვდებოდეს პროგრამაში, ასევე პროგრამას ჰქონდეს დანართი, სადაც ნაჩვენები იქნება გამიჯნული სწავლის შედეგები განხორციელების ადგილის მითითებით.*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „საგანმანათლებლო პროგრამების დაგემვის და შემუშავების მეთოდოლოგია“, დამტკიცებული ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორის 2021 წლის 03 დეკემბრის № 7645 ბრძანებით (შეტანილი ცვლილებით 2022 წლის 03 თებერვლის №707 ბრძანებით).
2. პროფესიული პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
3. კოლეჯის მისია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
4. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები;
5. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორის 2020 წლის 02 ივნისის № 01-20 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 2022 წლის 13 სექტემბრის № 6764 ბრძანებით) „აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“;
6. 2019 წლის 11 თებერვლის N 01-15 ბრძანებით (ცვლილება დირექტორის 2019 წლის 5 აპრილის N 01-40 ბრძანებით) დამტკიცებულია ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ანალიზი და დასაბუთება;
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები;
9. კოლეჯის დირექტორის ბრძანება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
10. კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შ.პ.ს ბათუმის სამედიცინო აკადემია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კბილის სატექნიკო საქმის“ თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს განახორციელებს შემდეგ მისამრთზე: ბათუმი, ტბეთის ქ.N4, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განკუთვნილი აღჭურვილობა/მატერიალური რესურსები შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტის (ჩარჩო-დოკუმენტის) მატერიალურ რესურსებს, რითაც მიიღწევა გათვალისწინებული სწავლის შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ „კბილის სატექნიკო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის კონტიგენტი განისაზღვრა 30 პროფესიული სტუდენტით.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - 30 პროფესიულ სტუდენტზე. უნდა აღინიშნოს, რომ თითო მიღებაზე დაწესებულება გეგმავს მიიღოს 15 პროფესიულ სტუდენტი. შესაბამისად, სწავლების მეორე წელს განხორციელდება 15 პროფესიული სტუდენტის მიღება და ამ შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა იქნება საერთო კვოტის - 30 პროფესიული სტუდენტის ფარგლებში.

კოლეჯში პროგრამის განხორციელებისთვის არსებობს სათანადო ინვენტარითა და აღჭურვილობით მოწყობილი სასწავლო და პრაქტიკული მეცადინეობისთვის საჭირო სივრცე.

პროგრამა განხორციელდება პროგრამის ფარგლებში შემუშავებული და დამტკიცებული შესაბამისი სასწავლო გეგმით, რომელშიც გათვალისწინებულია მოდულების დაშვების წინაპირობები.

კოლეჯს პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები:

„კბილიე სატექნიკო საქმის“ პროგრამისთვის კოლეჯში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო A/C, C და B.

1. N 603 - A/ C სასწავლო გარემო.

2. N 606 - C სასწავლო გარემო.

3. N 602 - B სასწავლო გარემო.

1. A/ C გარემო - განკუთვნილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის და განთავსებულია : 15 სამუშაო მაგიდა, 15 სკამი.

პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალება, დაფა , კომპიუტერი (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), შესაბამისი აღჭურვილობით-ინდივიდუალური განათებით, მიკროძრავები, ფითხები, ელექტრო ფითხები, თავის ქალას ფანტომი, ყბების ფანტომები, სპირტქურები, გამოკრულია ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხოების წესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. C გარემო - განკუთვნილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის და განთავსებულია:

სათაბაშირე და საპოლიმერიზაციო გარემო-აუდიტორია 606 - ფართი შეადგენს 16 კვ.მ -ს განთავსებულია: სამუშაო მაგიდები, სკამები, სველი წერტილი, ტრიმერის აპარატი, ვიბრომაგიდა, საწნეხი, ოკლუდატორები, რეზინის ჯამები თაბაშირის მოსაზელი შპადელებით, ბიგელი, დარიჯები, ელექტროქურა, ელექტროჩაიდანი, გამწოვი კარადა. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხოების წესები.

3. B გარემო აუდიტორია 602 -ფართი-43,343 კვ.მ - რომელშიც განთავსებულია 22 პერსონალური კომპიუტერი, რომელიც განკუთვნილია პროფესიული სტუდენტებისათვის, ხოლო ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. (სულ 23 კომპიუტერი), მაგიდები და სკამები სტუდენტებისა და მასწავლებლითვის, დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფა და სხვა.

B სასწავლო გარემო ამ პროგრამის ფარგლებში საჭიროა მხოლოდ ერთ მოდულზე, რომლის ხანგრძლივობა არის 3 კრედიტი.

კომპიუტერული კლასის გამტარიანობა საკმარისია ყველა პროგრამისათვის.

რიგი მოდულების ფარგლებში რესურსების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტები, რომელიც ასახულია მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

კლინიკა/ლაბორატორიები აცხადებენ მზაობას განსაზღვრული კვოტის ფარგლებში თითოეულ ნაკადზე მიიღონ პროფესიული სტუდენტები. ხელშეკრულებას თან ახლავს პარტნიორი ორგანიზაციების მიერ პრაქტიკის კომპონენტისთვის გამოყოფილი მატერიალური რესურსისა და პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებლი მოდულების ჩამონათვალი, სტუდენტებს სამუშაო ნედლეულით უზრუნველყოფს თავად პრაქტიკის ობიექტი.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება შემდეგი პრაქტიკის ობიექტებთან:

1. „შპს ტექნიკალგრუპი“- (სტუდენტთა რაოდენობა 10);

2. შპს ,,ლაბორადენტი'' (სტუდენტთა რაოდენობა 10) ;

3. შპს ,, ევრო დენტი'' - (სტუდენტთა რაოდენობა 10) ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკის ობიექტები იღებენ ვალდებულებას სასწავლო პროცესის განსახორციელებლად პროგრამის ფარგლებში მოემსახურონ კოლეჯის 30 პროფესიულ სტუდენტს და უზრუნველყონ პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული მოდულების განხორციელება (სულ13 მოდული). სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალურ ტექნიკური საშუალებები.

ექსპერტების ვიზიტი განხორციელდა სამივე პარტნიორ დაწესებულებაში, შედგა წარმომადგენლებთან გასაუბრება. კომპანიებმა გამოხატეს მზაობა, სტუდენტთა მიღებასა და მათთვის თავიანთი რესურსის შეთავაზებაზე. აღსანიშნავია, რომ ამ ერთ-ერთ პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკის კომპონენტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის გამოცდილება უკვე აქვს კოლეჯს (საგნობრივ პროგრამების ფარგლებში), შემოწმებული იქნა პარტნიორი ორგანიზაციის რესურსი, აღნიშნული კლინიკა/ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე დანადგარებითა და აპარატურით: პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სამუშაო მაგიდებით და სკამებით, გამწოვი და სავენტილაციო სისტემებით,ელექტრო ფითხებით, საპრიალებელი და მოსაჭრელი ძრავებით,კერამიკის გამოსაწვავი ღუმელით,მეტალის ჩამოსასხმელი აპარატით, კად-კამ სისტემის აპარატით, მუფელის ღუმელით, ვაკუუმმიქსერით, პარალელომეტრით, პოლიმერიზატორით, ვიბრომაგიდით, სილაჭავლური აპარატით და სხვა მაღალტექნოლოგიური საშუალებებით, რომლითაც დასტურდება, რომ შერჩეული კლინიკა/ლაბორატორიები სრულად ფარავს საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მოდულების სწავლის შედეგების შინაარსს.

შესაბამისად, პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს მოდულის პრაქტიკული კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალიწინებითაც.

ინდიკატორი 2.2.1. დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 85 პირი, მათ შორის ზოგადი მოდულების განმახორციელებლი- 11, ხოლო დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი -74 მასწავლებელი, მოდულების განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 2 პირი. პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.2. დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია. ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა „კბილის სატექნიკო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), რომელიც სრულად შეესაბამება დაწესებულების მიერ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.მათთან ასევე გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციებს. შედგა გასაუბრება ,,ფაიფურის დამზადების ტექნოლოგია“ ,,ცირკონოკერამიკა'', მარტივი ბიუგელისებური პროთეზების დამზადება'', რთული ,,ბიუგელისებური პროთეზი საკეტისაბური სამაგრით'', უცხოური ენა(ინგლისური)-მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ,რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებით. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავალებლები ჩართულები იყვნენ მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, რაც გამოიკვეთა ინტერვიუირების დროს.

საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების შესაბამისად შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნვნებია წაყენებული პროფესიული განათლების მასწავლებელზე: დარგის უმაღლესი ან პროფესიული განათლება და 3 წლიანი სამუშაო გამოცდილება, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ყველა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლებიც შესაბამისობაშია ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილ პირობებთან.

ინდიკატორი 2.2.3. დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. 14.09.2022 წლის № 00006874 ბრძანებითაა განსაზღვრული ბათუმის სამედიცინო აკადემიის „კბილის სატექნიკო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებისა და პროგრამის ხელმძღვანელების დანიშვნა. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე, რომელიც შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან, ასევე მასთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. პირად საქმეში წარამოდგენილია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებიც, თუმცა ფუნქცია-მოვალეობის *გაცნობა არაა დასტურებული პროგრამის ხელმძღვანელის ხელწერით.* გასაუბრებისას პროგრამის ხელმძღვანელმა დაასტურა, რომ იცნობს და გააზრებული აქვს თავისი ფუნქცია-მოვალეობები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კბილის სატექნიკო საქმის“ პროგრამის ხელმძღვანელი კვალიფიკაციით არის ექიმი-სტომატოლოგი, ნებადართული საქმიანობა „ორთოდონტია'', დარგში მუშაობის გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროფესიული განათლებლის მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება საგნობრივ პროგრამაზე.

ინდიკატორი 2.2.4. დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. კოლეჯში ვიზიტისას ექსპერტთა მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და ელექტრონული ფორმით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, რომელთა გამოყენებითაც პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ დისკებით ან ამობეჭდონ ელექტრონულად არსებული სასწავლო მასალა. ელექტრონული წიგნები განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე. თითოეული მოდულით განსაზღვრულია სასწავლო ლიტერატურის ჩამონათვალი, რომელიც შეესაბამება მოდულის ფარგლებში შესასწავლ მასალას და დარგის სპეციფიკასა და მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.5. დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.კოლეჯის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოლოგია“ ადგენს პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშვების მექანიზმებს, რომლის თანახმად, პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობას, აგრეთვე სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას. ამ ვალდებულების შესრულების მიზნით აკადემია შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლისშედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა დაშეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სტუდენტისათვის საჭირო დამატები საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდიკატორი 2.2.6. დაკმაყოფილებულია, რადგან სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. აკადემიას „კბილის სატექნიკო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის შექმნილი აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს რენტაბელობის ზღვარს და წარმოდგენილია 10 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. ხარჯების ნაწილში გათვალისწინებულია პროგრამის მიზნებისთვის პირდაპირ გასაწევი და პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ზედნადები ხარჯები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტები გავესაუბრეთ აკადემიის ფინანსურ მენეჯერს, რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ შედგება ფაქტობრივი ბიუჯეტი და შედარდება საპროგნოზო ბიუჯეტს, შედეგები გაანალიზდება და შესაძლოა მოხდეს საპროგნოზო ბიუჯეტის კორექტირება.

ინდიკატორი 2.2.7. დაკმაყოფილებულია, რადგან პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. მატერიალური რესურსისა და ინვენტარის ფლობის დოკუმენტები;
2. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა;
3. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის დასაბუთება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
5. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები;
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი
9. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.
10. მარეგულირებელი დოკუმენტები;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. 2021 წლის 03 დეკემბრის № 7645 ბრძანებით (ცვლილება 2022 წლის 03 თებერვლის №707 ბრძანებით) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოლოგიის“ შესაბამისად (მუხლი 9.) ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების პროცედურებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება; ვერიფიკაცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების, კურსდამათავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებით, ვერიფიკაციით. ამავე დოკუმენტით რეგულირდება პროგრამაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამში ცვლილებების შეტანისა და გაუქმებების პროცესები. აქვე ასახულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის ინფორმაციის წარდგენის ვადების შესახებ.

აკადემიის დირექტორის 01.08. 2022 წ. ბრძანებით № 5667 დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ შესაბამისად, რომელიც ეფუძნება ხარისხის ციკლს (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე), ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, და მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- **პროგრამების დაგეგმვა-** პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება ეფუძნება შრომის ბაზრის, დამსაქმებელთა მოთხოვნათა ანალიზს, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა, კურსდამთავრებულთა და სხვა დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის შედეგებს;
- **ახალი პროგრამების დამატება** - პროგრამული ნაწილის მომზადება, პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა;
- **პროგრამებში ცვლილებების შეტანა** - საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების შესაბამისად, ცვლილებების განხორციელება;
- **პროგრამების შეფასების მიზნით კვლევების ჩატარება** - პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, სამიზნე ჯგუფები შეიძლება იყოს პროფესიული განათლების მასწავლებლები / მომზადება/ გადამზადების პროგრამის განმახორციელებლები, პროფესიული სტუდენტები/მსმენელები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პრაქტიკის ობიექტები დაა.შ.);
- **მტკიცებულებათა ვერიფიკაცია** - მტკიცებულებათა ვერიფიკაცია პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **მონიტორინგის მექანიზმების განსაზღვრა** - მონიტორინგის გეგმის შესაბამისად, შეფასების განხორციელება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით გაწერილი თითოეული პროცესი დაყოფილია დაბალ, საშუალო, მაღალ და კრიტიკულ რისკ-ფაქტორად და მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა. საგანმანათლებლოპროგრამების განვითარებას მინიჭებული აქვს კრიტიკული რისკ-ფაქტორი, ანუ დაწესებულებას გააზრებული აქვს, რომ პროგრამის განვითარებაზე ზრუნვა კოლეჯის ძირითადი პროცესია.

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ანალიზს და იძლევა რეკომენდაციებს პროცესების გაუმჯობესების მიზნით. რაც დასტურდებახარისხის მართვის მენეჯერის შიდა მონიტორინგის ანგარიშით.

რეკომენდებულია გადაიხედოს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რადგან *გვხდება დუბლირებული საკითხები, როგორიცაა სტუდენტთა შეფასება, აპელაცია, განმეორებითი შეფასება, ვერიფიკაცია და სხვა.*

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ, *თუმცა რეკომენდებულია გადაიხედოს დაწესებულების „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რადგან რიგი საკითხები დუბლირებულია.*

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამასა და მოდულებში ცვლილებების შეტანის წესები და პროცედურები. 2021 წლის 03 დეკემბრის № 7645 ბრძანებით (ცვლილება 2022 წლის 03 თებერვლის №707 ბრძანებით) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოლოგიის“ მუხლი N 8 მუხლი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამში ცვლილებების შეტანა და გაუქმება, სადაც გაწერილია, თუ როგორ და რა შემთხევაში იწყება ცვლილების პროცესი, ვინ განიხილავს, ვის შეაქვს ცვლილება და ვინ ამტკიცებს. როგორ ხდება ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება დაწესებულებაში ან მის გარეთ. დაწესებულების რეგულაციით განსაზღვრულია პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი - აკადემიის დირექტორი. ვიზიტისას გადამოწმდა და პროგრამები დამტკიცებულია დირექტორის მიერ. მაგ, ბათუმის სამედიცინო აკადემიის „კბილის სატექნიკო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებისა და პროგრამის ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ 14/09/2022 წლის ბრძანება № 00006874.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა მიზნობრივი კითხვების დასმის გზით განახორციელა ინტერვიურება კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერთან და სხვა წარმომადგენლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია, რადგან პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 01.08. 2022 წ. ბრძანებით № 5667 დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“
2. „კბილის სატექნიკო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებისა და პროგრამის ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ 14/09/2022 წლის ბრძანება № 00006874;
3. 2021 წლის 03 დეკემბრის № 7645 ბრძანებით (ცვლილება 2022 წლის 03 თებერვლის №707 ბრძანებით) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოლოგია“
4. ხარიხის მენეჯერის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში და შიდა მონიტორინგის ანგარიში.
5. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კბილის სატექნიკო საქმე“ ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამას ახლავს სასწავლო გეგმა, რომელიც აწყობილია მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობით, მოდულზე დაშვების წინაპირობები დაცულია. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს მეცადინეობის განრიგებს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს სასწავლო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია: მოდულზე დაშვების წინაპირობა, კრედიტი, მოდულის დასახელება, სასწავლო კვირა, მეცადინეობისთვის განკუთვნილი საათი, შეფასება, გათვალისწინებულია სასწავლო გეგმა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის. პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ აკადემიაში აღნიშნული პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. *თუმცა სასწავლო გეგმაში საათების გაყოფისას დაშვებულია ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ მეორე სასწავლო წლის საათები ჯამში სწორია, თუმცა მოდულების შესაბამისად დაჯამებისას გამოვლინდა უზუსტობები.*

დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის № 10675 ბრძანებით (ცვლილება: 2023 წლის 18.04. №3860 ბრძანებით) დამტკიცებული „ბათუმის სამედიცინო აკადემიაში პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესისა და პირობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესახებ“. აღნიშნული წესის საფუძველზე რეგულირდება შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების პროცედურები. *ექსპერტებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ, სასწავლო გეგმაში გამოიყოს შუალედური შეფასების კვირა, რადგან წინასწარ დაიგეგმოს, თუ რომელი სწავლის შედეგების დასრულების შემდეგაა უპრიანი გამოცდის ჩატარება, რომელიც დაიწყება შეფასების პროცესის ორგანიზებით - შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება, კომისიის შექმნა, გადაბარების ვადების განსაზღვრა და სხვა.*

სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში. სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმცია ხელმისაწვდომის კოლეჯის ვებგვერდზეც.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს ტექნიკური უზუსტობების გასწორება, ასევე სასწავლო გეგმაში შუალედური შეფასების კვირის გამოყოფა.*

2. აკადემიაში საწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლაში, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა და მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელსაც უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი პროგრამის დამთავრებისას. თუმცა, როდესაც ფორს-მაჟორული სიტუაციაა და ვერ ხერხდება სასწავლო გეგმის დაცვა, აკადემია მოქნილად, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით რეაგირებს მსგავს გარემოებებზე. კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს სასწავლო გეგმის ცვლილებაში, სასწავლო პროცესის დისტანციურად დაგეგმვაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ან საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯში დარეგულირებულია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია, რადგან პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „კბილის სატექნიკო საქმე“ ყველა მოდულის განსახორციელებლად აკადემიის მიერ გამოყოფილი ყველა სასწავლო გარემო აღჭურვილია შესააბამისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლების თანამედროვე მეთოდებში. პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიულ მასწავლებელთა უმრავლესობა დარგის მოქმედი სპეციალისტები არიან.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებულია ხელშეკრულებები.

ინდიკატორი 2.4.1.3. დაკმაყოფილებულია, რადგან სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

3. აკადემიას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება“, რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმებს და პროცედურებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. (მუხლი 7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება) აღნიშნულ დოკუმენტი აღწერილია მხოლოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები. ექსპერტებისთვის დამაბნეველი იყო ის ფაქტი, რომ დაწესებულებაში ინდ. გეგმის შემუშავების სხვა წესიც არსებობს - „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია“ (დამტკიცებულია 2021 წლის 18 იანვრის №01-01 ბრძანებით. ცვლილება 2021 წლის 25.06 N 2925 ბრძანებით). ამავე დოკუმენტშიც ვხვდებით ჩანაწერებს სსსმ პირთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ.

ინდიკატორი 2.4.1.4. დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, *თუმცა რეკომენდებულია გადაიხედოს და ერთ დოკუმენტად შემუშავდეს ინდ. სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია.*

5. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტებთან,კერძოდ:

1. შპს „ტექნიკალგრუპი“- (სტუდენტთა რაოდენობა 10);
2. შპს ,,ლაბორადენტი'' (სტუდენტთა რაოდენობა 10) ;
3. შპს ,, ევრო დენტი'' - (სტუდენტთა რაოდენობა 10) ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელდა ყველა სასწავლო საწარმოში ვიზიტი, გადამოწმდა არსებული აღჭურვილობა, ფართი, ასევე განხორციელდა გასაუბრება ინსტრუქტორებთან. სასწავლო საწარმო აკმაყოფილებს მოთხოვნებს, აღნიშნულ ფართზე თავისუფლად შეიძლება განხორციელდეს კვოტის შესაბამისი რაოდენობის სტუდენტთა სწავლება.

ინდიკატორი 2.4.1.5. დაკმაყოფილებულია, რადგან პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6. აკადემიაში სასწავლო პროცესი განხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება უსაფრთხოდ მოწყობილ სივრცეში, სადაც გამოკრულია შესაბამისი წესი და ინსტრუქტაჟი, სასწავლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.
პრაქტიკის ობიექტიში, სადაც გატანილია ზოგიერთი პრაქტიკული სწავლის შედეგი, უზრუნველყოფილია უსაფრთხო სამუშაო გარემო.

ინდიკატორი 2.4.1.6. დაკმაყოფილებულია, რადგან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საგანმანათლებლო პროგრამა;
2. სასწავლო და კალენდარული გეგმები;
3. პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
4. ინდ. სასწავლო გეგმები (საჭიროების შემთხვევაში);
5. დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი;
6. განმახორციელებლებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. ვიზიალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორის 2021 წლის 23.06. № 2896 ბრძანებით (ცვლილება 2022 წლის 03.11 N 10335 ბრძანებით) დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი“, რომელიც ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმენტების შერჩევის პროცედურას, სტრუქტურას, შემუშავების პროცედურას, ვალიდაციას, შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას, შეფასების ჩატარების სტანდარტულ პროცედურას, სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურების (განმეორებითი შეფასება) პროცედურას, შეფასების პროცესის აკომოდაციას ან სტანდარტული პროცედურის ცვლილებას, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესს. აკადემიაში სასწავლო პროცესის მენეჯერი გეგმავს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესს და განრიგს. შეფასების ინსტრუმენტებს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებლები და წინასწარ დადგენილ ვადაში წარუდგენს ვალიდაციის ჯგუფს, რომლის აუცილებელ წევრებად დირექტორის ბრძანებით განისაზღვრებიან შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები. ავტორიზაციის ექსპერტები გავეცანით ვალიდაციის პროცესის ამსახველ დოკუმენტაციას და გავესაუბრეთ სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელმაც დეტალურად აგვიღწერა შეფასების პროცესი.

„პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესში“ მოცემულია, რომ სტუდენტს აქვს გადაბარების უფლება, *თუმცა არ არის დაკონკრეტებული რამდენჯერ შეუძლია გავიდეს განმეორებით შეფასებაზე. ასევე არ არის განსაზღვრეული შეფასების გაცნობიდან რამდენ ხანში შეუძლია სტუდენტს ისარგებლოს აპელაციის წესით. გარდა ამისა, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესში ვხვდებით რამდენიმე ტერმინის არასწორ განმარტებას. (მაგ: ვალიდურობა, სანდოობა, ობიექტურობა სამართლიანობა და გამჭვირვალობა.) დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია გადახედოს პროფესიული სტუდენტის მიღწევების*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების წესს და დააზუსტოს დამატებითი შეფასებისა და აპელაციის პირობები, ასევე გაასწოროს ტექნიკური უზუსტობა ტერმინთა განმარტების შესახებ.

დაწესებულებაში ვიზიტისას შერჩევითად გადამოწმდა შეფასების პროცესთან დაკავშირებული მტკიცებულებები. შეფასების ინსტრუმენტები ვალიდირებულია როგორც დარგის, ასევე განათლების ვალიდატორის მიერ. შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ყველა იმ სავალდებულო ინფორმაციას, რაც გაწერილია მარეგულირებელი დოკუმენტით. დაცულია ასევე უწყისის გაფორმების წესიც.

ინდიკატორი 2.4.2.1. დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, თუმცა *რეკომენდებულია „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესში“ განისაზღვროს თუ რამდენჯერ აქვს სტუდენტს გადაბარების უფლება და შეფასების გაცნობიდან რამდენ ხანში შეუძლია სტუდენტს ისარგებლოს აპელაციის წესით. გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა ტერმინთა განმარტების შესახებ.*

2. დაწებულების ,,ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ (დირექტორის 01.08.2022 №5667 ბრძანება) მიხედვით შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, ვერიფიკაციის პროცესს წარმართავს სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული არიან პროგრამის განმახორციელებლები, დარგის სპეციალისტები და სხვა პირები საჭიროების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები, კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების. დაწესებულების სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა წარმოადგინა 2022-2023 წელს ჩატარებული შეფასების სისტემის შემოწმების ანალიზი - ,,შეფასების სისტემის ვერფიკაციის დასკვნა“ სადაც ჩანს, რომ დაწესებულებამ ჩაატარა ვერიფიკაცია 2 პროგრამის ფარგლებში, შეადგინა რისკ ფაქტორები, მოიწვია ვერიფიკატორები და შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა რეკომენდაციები. აღსანიშნავია რომ ვერიფიკაციის მეორე ეტაპზე - შეფასების პროცესის ვერიფიკაცია მოხდა დაწესებულების მიერ შემუშავებული ფორმის (ჩეკლისტი) მიხედვით, რომლითაც ვერიფიკაციის ჯგუფი აკვირდებოდა შეფასების მიმდინარეობის პროცესს. თუმცა შეფასების პროცესის ვერიფიკაციაში მონაწილეობა არ მიუღიათ სტუდენტებს. რაც ვფქირობთ, რომ უმნიშვნელოვანეის კომპონენტია, ვინაიდან პროფესიულ სტუდენტებს ყველაზე ობიექტურად შეუძალით შეაფასონ შეფასების პროცესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.2.2. დაკმაყოფილებულია, რადგან პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, თუმცა *რეკომენდებულია დაწესებულებამ შეფასების პროცესის ვერიფიკაციაში ჩართოს პროფესიული სტუდენტები;*

3. აკადემიის „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი“ არეგულირებს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სატანადო აღრიცხვას და შენახვას. კერძოდ, შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელია მოდულის განმახორციელებელი პირი/შემფასებელი. შეფასების მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, ფოტო და ვიდეო გამოსახულება, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირისხება და უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება საამისოდ განკუთვნილ ადგილას. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნას როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.

ინდიკატორი 2.4.2.3. დაკმაყოფილებულია, რადგან პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4. აკადემიის „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესის“ შესაბამისად (მე -9 მუხლი პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მიღწეულ შედეგთან დაკავშირებით) შედეგების შეფასების შემდეგ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით გონივრულ ვადაში (არაუგვიანეს სამი დღისა). უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები.

ინდიკატორი 2.4.2.4. დაკმაყოფილებულია, რადგან პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2021 წლის 23.06. № 2896 ბრძანებით (ცვლილება 2022 წლის 03.11 N 10335 ბრძანებით) დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი“,
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კბილის სატექნიკო საქმე“ სასწავლო გეგმა, მოდულები;
3. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ (დირექტორის 01.08.2022 №5667 ბრძანება);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სასწავლო პროცესის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა
5. ვერიფიკაციის დასკვნა;შეფასების ინსტრუმენტები და შეფასების მტკიცებულებები;
6. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაბუთება

.....

.....

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

26.06.2023 წ

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: